ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

სამგორის რაიონის გამგეობა

რაიონის ტერიტორიაზე არსებული ქუჩებისა და შიდა ეზოების მიმდინარე საგზაო შეკეთებითი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული ტენდერის

სატენდერო დოკუმენტაცია

ქ. თბილისი – 2015 წ

სარჩევი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის ----------3

2. ტექნიკური დოკუმენტაცია ----------4

3. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი----------10

4. დამატებითი ინფორმაცია----------13

5. დანართი 1 აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა----------14

6. დანართი 2 (რეკვიზიტები) ----------15

7. დანართი 3 (ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფის ფორმა) ----------16

8. დანართი 4 – ხარჯთაღრიცხვის ფორმა ----------6

9. დანართი 5 – ინფორმაცია შესრულებული ანალოგიური სამუშაოების (საგზაო სამუშაოები) შესახებ---17

10. დანართი 6 – ინფორმაცია ტენდერში მონაწილის საკუთრებაში (შესაძლებელია იჯარაც) არსებული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ----------18

11.დანართი 7 – ინფორმაცია ტენდერში მონაწილის პერსონალის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ----------19

ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების შესაბამისად.

1.2 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3 დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულობა).

1.5 სატენდერო პროცედურების განხორციელების ეტაპზე სუბკონტრაქტორ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული უნდა იქნას პრეტენდენტსა და სუბკონტრაქტორ(ებ)ს შორის გაფორმებული ხელშეკრულებ(ები)ა.

1.6 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.7 პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

2.1. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პარამეტრები:

2.1.1. ტექნიკური დავალება.

ეზოს სარეაბილიტაციო სამუშაოები (მისამართები)

2.1.1.1 ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, ძმები ოცხელების ქუჩა №24.

2.1.1.2 ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, II ნავთლუღის დასახლება, მე-7ქუჩის შესასვლელები

შენიშვნა: შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობები ხარჯთაღრიცხვის გასაანგარიშებლად (დანართი 4-ის მიხედვით) ატვირთულია სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად

ხარჯთაღრიცხვის გაანგარიშება უნდა მოხდეს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილების გათვალისწინებით.

2.2. მოთხოვნები მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ

2.2.1 ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს საკუთრებაში (შესაძლებელია იაჯარა) უნდა გააჩნდეს შემდეგი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა

	ტექნიკის დასახელება**	რაოდენობა (არა ნაკლებ)
1	ა/თვითმცლელი* (მინიმუმ $მ^3$ ტევადობის)	10
2	მცირე ზომის დამტვირთავი	2
	დამტვირთველ-ექკავატორი(მინიმუმ 0.5 $მ^3$ ჩამჩით და 1 $მ^3$ დამტვირთველით)	2
	ავტოგრეიდერი	1
	ავტოგუდრონატორი	1
3	მცირე ზომის გლუვდოლიანი სატკეპნი (2.5 - 4 ტ)	2
	საშუალო ზომის გლუვდოლიანი სატკეპნი (8–16ტ)	2
	პნევმატური(რეზინისთვლიანი) სატკეპნი(16 - 18 ტ)	2
4	ხელის ვიბრო სატკეპნი	4
5	ხელის პნევმატური ჩაქუჩი კომპრესორით	2

6	ფრეზი(დოლის სიგანე არანაკლებ 1მ)	1
7	ასფალტოდამგები	1
8	ასფალტის გადამზიდი ავტოთერმოსი	1
9	ა/ბეტონის ქარხანა მინიმუმ 80 ტ/სთ წარმადობით (ნარევის ავტომატური დოზირების შესაძლებლობით, თბილისის ადმინისტრაციული საზღვრებიდან არა უმეტეს 50 კმ მანძილზე	1

შენიშვნა: ზემო აღნისნული ტექნიკა დანადგარებიუნდა იყოს ტექნიკურად გამართულ, მუშა მდგომარეობაში. ყველა მოთხოვნილ ტექნიკა – დანადგარზე პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს მის საკუთრებაში არსებობის ან იჯარით სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ასევე ტექ. პასპორტები და ფოტომასალა.

პრეტენდენტს 2013-2014 წლებში უნდა ჰქონდეს არანაკლებ 300 000 ლარის გზის კაპიტალური შეკეთების გამოცდილება (შესრულებული სამუშაოების დამადასტურებული დოკუმენტაცია, ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტები) ზემოთ აღნიშნული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის იჯარით ფლობის შემთხვევაში, წარმოდგენილი უნდა იქნას განზრახვათა შესახებ ხელშეკრულება, რომელშიც მითითებული უნდა იყოს, რომ იჯარით გათვალისწინებული ტექნიკა-დანადგარები ამ ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადის განმავლობაში არ იქნება იჯარით გაცემული სხვა კომპანიაზე. ასევე ტენდერისშერჩევა/შეფასების ეტაპზე, პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს მოთხოვნილი ტექნიკა-დანადგარების საქმიან ეზოში თავმოყრა თბილისის ადმინისტრაციული საზღვრებიდან არაუმეტეს 50 კმ მანძილზე, მათი არსებობის და ტექნიკური მდგომარეობის გადამოწმების მიზნით.

სამუშაოების დაწყება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 დღისა, მინიმუ 2 ობიექტზე ერთდროულად;

საავანსო ანგარიშსწორება არ არის გათვალისწინებული;

შუალედური ანგარიშსწორება არ არის გათვალისწინებული. ანგარიშსწორება მოხდება კონრეტული ცალკეული ობიექტის სამუშაოების საბოლოოდ დასრულების და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

სუბკონტრაქტორი არ გამოიყენება.

შემსრულებელი სამუშაოების შესრულების დროს ვალდებულია მასალების გამოცდისათვის საჭირო სპეციალიზირებულ ლაბორატორიაში ჩაატაროს გამოსაყენებელი მასალების (ქვიშა-ხრეშოვანი ნარევი, ფრაქციული ღორღი და ა.შ.) ხარისხის ლაბორატორიული გამოცდები მათი გამოყენების ვარგისიანობაზე. ლაბორატორიულ დასკვნასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას ლაბორატორიის სათანადო ლიცენზირებულობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი. ასევე პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ა/ბეტონის ნარევის რეცეპტი, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ სტანდარტებს.

2.3. მოთხოვნები პერსონალის კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ

2.3.1 მინიმალური საკადრო კვალიფიკაცია:

- მინიმუმ 2 ბრიგადა;

- ბრიგადაში მინიმუმ 1 საგზაო ინჟინერი სულ მცირე 5 წლიანი შესაბამისი გამოცდილებით;
- ბრიგადაში მინიმუმ 3 კვალიფიციური მუშა.

2.4. ანგარიშსწორების პირობები:
2.4.1. სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის ჩათვლით.
2.4.2. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანაგარიშსწორებით ლარებში.
2.4.3. ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 სამუშაო დღის განმავლობაში;

2.5. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია:
2.5.1. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 %-ის ოდენობით, დანართი №3-ის მიხედვით.
2.5.2 ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტის მიწოდების ვადას.

2.6. მიწოდების ვადა და ადგილი:
2.6.1 სამუშაოები უნდა დასრულდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2015 წლის 31 მაისის ჩათვლით.
2.6.4 მიწოდების ადგილი: რაიონის ტერიტორია.

2.7 პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:
2.7.1 რეკვიზიტები და სატენდერო წინადადების ფასი დანართი №2-ის მიხედვით;
2.7.2. ხარჯთაღრიცხვა დანართი №4-ის მიხედვით;
2.7.3. ინფორმაცია შესრულებული ანალოგიური სამუშაოების შესახებ-დანართი 5-ის მიხედვით. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ანალოგიურ სამუშაოებზე გაფორმებული ხელშეკრულებ(ებ)ის და და მიღება–ჩაბარების აქტების ასლ(ებ)ი;
2.7.4 ინფორმაცია ტენდერში მონაწილის საკუთრებაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ დანართი 6-ის მიხედვით. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ყველა ტექნიკური საშუალებისა და მანქანა-დანადგარების საკუთრების ან იჯარის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
2.7.5 ინფორმაცია ტენდერში მონაწილის პერსონალის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ დანართი 7-ის მიხედვით.

შენიშვნა: პრეტენდენტის მიერ ელექტრონულ სისტემაში ატვირთული სატენდერო დოკუმენტაცია უნდა იყოს ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უფლებამოსილი პირის მიერ.

2. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ქ.თბილისი **--- ---------- 2015 წ.**

ერთის მხრივ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სამგორის რაიონის გამგეობა (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი გამგებლის -------- ---------- სახით და მეორეს მხრივ ---------- (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ---------- სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, №SPA ---------- ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.3 „შემსყიდველი“ -ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ასრულებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია- ---------- შესყიდვა ელექტრონული ტენდერის საშუალებით (CPV კოდი ----------).

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ---------- ლარს;
3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში;
საავანსო ანგარიშსწორება არ არის გათვალისწინებული;
4.2 შუალედური ანგარიშსწორება არ არის გათვალისწინებული. ანგარიშსწორება მოხდება კონრეტული ცალკეული ობიექტის სამუშაოების საბოლოოდ დასრულების და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ---------- მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე;
4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან არაუგვიანეს 30 დღის განმავლობაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი (მისამართი მთლიანობაში) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ .

5.2 სამუშაოების მიღება-ჩაბარება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სამუშაოთა შესრულების ფორმა №2-ის საფუძველზე შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.
5.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე, ტექნიკურ ზედამხედველობაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სამგორის რაიონის გამგებლის მოადგილე ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხებში და განყოფილების თანამშრომელ(ებ)ი.

6სამუშაოს შესრულების ადგილი და ვადა

6.1. ---------- განხორციელდება ---------- მისამართი;
6.2. ---------- განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის ----------.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია;
7.4.1. შეასრულოს სამუშაო სათანადო ხარისხით;
7.4.2 შემსრულებელი სამუშაოების შესრულების დროს ვალდებულია მასალების გამოცდისათვის საჭირო სპეციალიზირებულ ლაბორატორიაში ჩაატაროს გამოსაყენებელი მასალების (ქვიშა-ხრეშოვანი ნარევი, ფრაქციული ღორღი და ა.შ.) ხარისხის ლაბორატორიული გამოცდები მათი გამოყენების ვარგისიანობაზე. ლაბორატორიულ დასკვნასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას ლაბორატორიის სათანადო ლიცენზირებულობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი. ასევე პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ა/ბეტონის ნარევის რეცეპტი, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ სტანდარტებს.
7.4.2 სამუშაოების დასრულების შემდეგ სამი წლის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია მისი მიზეზით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით არაუგვიანეს 30 დღეში.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით;
8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;
8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;
9.4. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მიღების განზრახვის შესახებ;
9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება შეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

12.1 იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული რისკი წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, ტენდერში გამოიყენება გარანტირების მექანიზმის შემდეგი სახე-საბანკო გარანტია ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 პროცენტის ოდენობით.
12.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევა - 8.1 პუნქტის გამოყენების შეუძლებლობის შემთხვევაში, ვალდებულებების უხარისხოდ, არაჯეროვნად შესრულება და სხვა) შემთხვევაში, მიმწოდებელს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა არ დაუბრუნდება.
12.3. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 დღით უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდების საბოლოო ვადას.
12.4. მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში დაუბრუნდება მხარეთა შორის შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში
12.5. მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს 201-- წლის ---------- ჩათვლით.

14. სხვა პირობები

14.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
14.2. სუბკონტრაქტორი არ გამოიყენება.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
14.4.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი**:
_____	_____

4. დამატებითი ინფორმაცია:

4.1 სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. მისამართზე : ქ. თბილისი, ნავთლუღის ქუჩა №8-1, მე–2 სართული, საკონტაქტო პირი: ზურაბ თამლიანი ტელ: 599 56 33 80

აფიდავიტი

სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

* ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

* უფლებამოსილი ვარ პრეტენენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;

* ნებისმიერ პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;

* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში;

* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

☐სატენდერო წინადადების ფასი;
☐სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
☐სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
☐ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული ტენდერის პირობებს;
☐შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება;

* სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.
თანხმობა

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195[1] მუხლის შესაბამისად.

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის დასახელება და კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა
(საბანკო გარანტია)

ვის:
_____

(შემსყიდველის დასახელება)

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ
_____

(მიმწოდებლის დასახელება)

შემდგომში „მიმწოდებელმა“ _____ ტენდერში წარდგენილი თავისი

(ტენდერის დასახელება)

სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთ აღნიშნული გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე:
_____

(თანხა ციფრობრივად, სიტყვიერად, ვალუტის მითითებით)

და ვკისრულობთ ზემო აღნიშნული თანხის გადახდას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე.

წინამდებარე გარანტია ძალაშია _____

გარანტების ხელმოწერა და ბეჭედი
_____
_____

_____

(თარიღი)
_____

ინფორმაცია 2013, 2014 წლებში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების (საგზაო სამუშაოები) შესახებ

№	სამუშაოს დასახელება	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების ღირებულება, ლარი
1 2 3 . №			
	სულ:		

შენიშვნა:

1. თუ პრეტენდენტს არ ექნება განხორციელებული ანალოგიური მიწოდება (საგზაო სამუშაოები) ჯამური ღირებულებით მინიმუმ 300.000 (სამასიათასი) ლარი ბოლო სამი წლის განმავლობაში მოხდება პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია;

2. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ანალოგიურ სამუშაოებზე გაფორმებული ხელშეკრულებ(ებ)ის და მ/ჩაბარების აქტების ასლ(ებ)ი.

--- ---

პრეტენდენტის დასახელება ხელმოწერა

--- ---

სახელი, გვარი, თანამდებობა თარიღი ბ.ა.

ინფორმაცია ტენდერში მონაწილის საკუთრებაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ

№	მოწყობილობა, მანქანა-მექანიზმების დასახელება	აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი	რაოდენობა	მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული)	საკუთარი, იჯარით აღებული
1 2 3 . №					

შენიშვნა:

პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ყველა ტექნიკური საშუალებისა და მანქანა-დანადგარების საკუთრების ან იჯარის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. პრეტენდენტს საკუთრებაში ან იჯარით თუ არ ექნება სატენდერო დოკუმენტაციის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული მანქანა-მექანიზმები, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა, მოხდება პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია.

--- ---

პრეტენდენტის დასახელება ხელმოწერა

--- ---

სახელი, გვარი, თანამდებობა თარიღი ბ.ა.

ინფორმაცია ტენდერში მონაწილის პერსონალის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ

№	თანამდებობა	გვარი, სახელი	დიპლომის მიღების თარიღი და ადგილი	დიპლომის №, ვის მიერ არის გაცემული	სპეციალობა დიპლომის მიხედვით	გამოცდილება (მიუთითეთ ობიექტი და/ან მუშაობის ადგილი, ვადები)	შენიშვნა
1 2 3 . . №							

შენიშვნა:
პრეტენდენტი თუ ვერ დააკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაციის 2.3 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მოხდება მისი დისკვალიფიკაცია.

--- ---
პრეტენდენტის დასახელება ხელმოწერა

--- ---
სახელი, გვარი, თანამდებობა თარიღი ბ.ა.